1877—1894

# ივერია

№ 53

პარასკევი, 11 მარტი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

№ 53

პარასკევი, 11 მარტი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

ტელეფონი № 92.

საწყობი ვოკზლის ახლო ავჭალის ქუჩის ბოლოს.

## ნავთი საუკეთესო თვისებისა

ამ ნავთს მჟავრტლი და სუნი სრულებით არა აქვს, რაც დაამტკიცა საბჭ-ის დარბაზის განათებამ ყოველ ხმოსანთა კრებაზედ. ეს ნავთი ტფილისში იშოვება მხოლოდ საწყობში

## ამხანაგობისა „სვეტ“

შემზადება ამ ნავთისა შეკვეთილია განსაკუთრებით ბაქოში **ი. გ. ბოგრინ ჩის** ნავთის ქარხანაში. ფერი ნავთისა $^1/_2$ მარკი, როცა ანთია არც სუნი აქვს და არც მჟავრტლი, ალი ნამდვილი თეთრი აქვს, ათი საათის განმავლობაში ალს ძლიერება არ აკლდება. **ფუთი ღირს** 1 მანეთი გაუგზავნელად და გაგზავნით 1 მან. და 10 კ. თითოეულ მუშტარს იმის დასამტკიცებლად, რომ ნავთი სწორედ ამ ამხანაგობისაა, მიეცემათ ანგარიში ამხანაგობის ბეჭედ დასმული. დაკვეთა შეიძლება ტელეფონით და ქალაქის ფოსტით არა ნაკლებ 3 ფუთისა და გაეგზავნებათ მეორე დღესვე. ნავთი გაეგზავნებათ რკინის ქვაბებით ამ წარწერით «ნავთი საუკეთესო თვისებისა ნავთის ამხანაგობისა» «სვეტ». (10—7)

ტფილისის სამუსიკო კრუჟოკი
პარასკევს, 11 მარტს,
ბენეფისი
სამუსიკო კრუჟოკის დირიჟორის
**ი. პ. ფალიაშვილისა**
სალიტერატურო-სამუსიკო
## საღამო
ოთხ განყოფილებად.

განყოფილება 1-ლი
იმღერებენ სხვა-და-სხვა სასიმღეროს: მოყვარულთა ხორო, ბ-ნი, ცხომელიძე, რატილი, ფარიანი ქ-ნნი რატილისა, მიხეევისა, ერნესტოვისა.

განყოფილება 2-რე
შეშლილის წერილები
თხზ. გოგოლისა
წაიკითხავს ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი რუსულს ენაზედ.

განყოფილება 3-ე
ცელქები
ვოდ. 1 მოქ. ვ. აბაშიძისა
მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. საფაროვისა, მელიქიშვილისა და ტარიელიშვილისა. ბ-ნნი ვ. აბაშიძე და გედევანოვი.

განყოფილება 4
სტრადელლა
ოპერა ფლოტოვისა, 2 მოქ. დასასრული
იმღერებენ: ბბ-ნნი რატილ და ცხომელიძე
დასაწყისი საღამოს 8 ს.
(2—1030—2)

## ტფილისი, 11 მარტს

ამ უკანასკნელ ხანებში მოუსავლობით დაზარალებულ ადგილებიდგან კიდევ მოვიდა რამდენიმე საყურადღებო ამბავი. ამასთანავე ჩვენმა სამეურნეო საზოგადოებამ შეიმუშავა დიდად საინტერესო პროგრამა იმის შესახებ, თუ რა გზით შეიძლება, ცოტად თუ ბევრად, აცილებულ იქმნას მოუსავლიანობა და გაჭირება სამერმისოდ.

ბ-ნი ვ. სტაროსელსკი, რომელსაც განგებ გამოუკვლევია მოსავლის რაოდენობა ზემო იმერეთში, სწერს გაზ. „Кавказ. Сель. Хоз.“-ს უკანასკნელ (12) ნომერში, რომ ზემო იმერეთისათვის წარსული 1893 წელი მოსავლის მხრივ დიდის გაჭირებისა და განსაცდელის წელიწადი იყოვო. შეგვიანებულმა შემოდგომამ და პაპანაქება—გვალვიანმა ზაფხულმა მოუღო ბოლო ყოველსავე ძირის მოსავალს, მეტადრე სიმინდს, რომელიც შეადგენს აქაურ გლეხ-კაცის ერთად-ერთს საკვებს. შორაპნის მაზრის დაბლობ ადგილებში დესეტინიდგან აუღიათ 11—20 ფუთი, ხოლო ქუთაისის მაზრის სამხრეთ-აღმოსავლეთის სოფლებში—20—30 ფუთი!.. ასევე უკლია ყოველსავე სხვა ძირის მოსავალსაც. ლობიო შორაპნის მაზრაში ერთ დესეტინაზედ მოსულა $^1/_4$—3 ფუთი, ბამბაც ამდენივე. ამასთანავე გაზეთ „Кавказъ“-ს სწერენ სვანეთიდგან, რომ იქაურ მეურნეობას თავის დღეში იმისთანა გაჭირებული წელიწადი არ უნახავს, როგორიც იყო წარსული 1893 წელი. საშინელი სიძვირე ჩამოვარდნილა პურისა: ქვითოლო ($2^1/_2$—3 ფუთი) ხორბალი, ლობიო და ფეტვი უწინ იყიდებოდა 3 მან. და 4 მანათზე მეტად-კი არ დაძვირებულა, მაგრამ ახლა 5 მანათადაც შოვნა არ არისო. სიმშილობას ჯერ შარშანვე უჩენია თავი მთელს სვანეთში, და მაშინვე უთხოვნია ხალხს მთავრობისათვის დახმარება გაგვიწიეო, მაგრამ ჯერ აქამომდე არა ისმის-რა ამ დახმარებისა.

ზემოხსენებულს რომ დავუმატოთ ყოველივე ის, რაც-კი თავის დროზე გვქონდა ნათქვამი, როგორც ქუთაისის ისე ტფილისის გუბერნიის მოსავლის რაოდენობის შესახებ, არ შეიძლება არ დავასკვნათ, რომ, წარსული წელიწადი საქართველოს ბევრ ადგილებისათვის საცოდაობის წელიწადი იყო. ამასთანავე არა ერთხელ გვქონდა აღნიშნული, რომ უკანასკნელ წლებში მოსავლიანობა კლებულობს საზოგადოდ იმ მრავალ გვარ მიზეზების გამო, რომელთაც იჩინეს თავი ამ უკანასკნელ დროს მთელს ამიერ კავკასიის მეურნეობაში. მეტის-მეტად დამშეულა წელს, როგორც ოფიციალურად ამოწმებენ, ყარსის ოლქი, ალექსანდროპოლისა და ახალქალაქის მაღლობი ადგილები, სადაც პურის მეტი არა გვარი სხვა მცენარე არა გვარობს თითქმის და ყოველივე ხარჯი და გადასახადი პურისა და ქერის მოსავალს აძევს ტვირთად.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების უკანასკნელს კრებაზედ წაკითხულ იქმნა ამ მხრივ დიდად საყურადღებო მოხსენება იმ კომისიისა, რომელიც ამ რამდენისამე ხნის წინად დაარსებული იყო საზოგადოების მიერ, რათა გამოეკვლია მიზეზნი უკანასკნელის მოუსავლიანობისა და შეემუშავებინა ის გეგმა, რომლის წყალობითაც სამერმისოდ შეიძლება თავიდგან აცილება ამ გვარის უბედურობისა. კომისიის მოხსენების წინად ბ-მა ი. ს. ხატისოვმა (იმავე კომისიის წევრი იყო) წაიკითხა თავისი დიდად დასაბუთებული წინასიტყვაობა.—როგორც ბ-ნ ხატისოვისა, აგრეთვე მთელის კომისიის მოხსენების შინაარსს გავაცნობთ მკითხველებს მაშინ, როდესაც დაიბეჭდება იგი. ამ ჟამად კი ორიოდე სიტყვით შევეხებით მხოლოდ კომისიის მიერ დასკვნილს აზრს.

მეტად რთული და მრავალგვარი მიზეზები მოუსავლიანობისა უნდა შესწავლილ და გამოკვლეული იქმნას, არამც თუ კითხვა-გამოწვლილვით, არამედ ადგილობრივ ჰავისა და მიწა-წყლის თვისებათა ხანგრძლივის ხნით შესწავლისა და გამოცდა-გამოკვლევის წყალობით. სწორედ ამიტომ წინა-პირველად დანიშნულ უნდა იყვნენ მცოდნე აგრონომები და დაარსებულ უნდა იყოს გამოსაცდელი მინდვრები, სადაც უნდა იმუშაონ ამ აგრონომებმა. ადგილობრივ შესწავლა პურის მოყვანის ძველად მიღებულ წესთა და შეერთებული ამასთან პრაქტიკული გამოცდა შეამუშავებინებს იმ განკარგებულ ტეხნიკურს წესს პურის მოყვანისას, რომელიც ერთის მხრით მეცნიერებაზე იქნება დამყარებული და მეორეთი ადგილობრივის ბუნებასა და ეკონომიურ ვითარებაზედ. ყოველ შემთხვევაში წინა-პირველად ადგილობრივი გამოკვლევა არის საჭირო, რომელსაც საზოგადოება შეუდგება ამ მოკლე ხანში კომისიის მიერვე შემუშავებულ პროგრამით. რაც შეეხება კერძო სპეციალისტების დანიშვნას, ამის გამო საზოგადოებამ დაადგინა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე. გამოსაცდელ მინდვრების მოწყობაში, რომელიც, ჯერ-ჯერობით, შეძლების სიმცირის გამო ორი იქნება დაარსებული —ერთი მთა და მეორე ბარ ადგილებისათვის,—საზოგადოება თავის მხრივათ მონაწილეობას მიიღებს. გარდა ამისა, მეტად დამშეულ ალექსანდროპოლის მაზრის მთა-ადგილებისათვის ახალ-წესის გუთნების გამოცდა გაიმართება. კომისიამ ჯერ-ჯერობით ეს მცირეოდენი ღონისძიებანი აღნიშნა თავის მეტის მეტ ხელ-მოკლეობის მიზეზით.

ნიკ. კაკასიძე

## ახალი ამბავი

*** დღეს, პარასკევს, 11 მარტს, სამუსიკო კრუჟოკის დარბაზში დანი-

## ფელეტონი

### პროვინციელების საჩივარი და სათხოვარი.

ჩვენს უკულმართ, არა ადამიანურს ცხოვრებას ისე სქლადა აქვს მოკიდებული ობი, რომ მხოლოდ მაშინ შეინძრევა და შეტოკდება ხოლმე, როცა გავიგებთ რომელსამე ქურდობის და ან ახალ მოდურ რაინდთა მოღვაწეობის ამბავს. მცირე ხნით იწყებს მაშინ ცხოვრება ტალღის სროლას, ობს შუა გულიდგან აქეთ-იქით გაჰფანტავს მწუხარების და უაზრო აზრის გამოთქმით, ერთის დახურდავებით მეორესთან და ისევ მალე ეძლევა მოსვენებას. ობი ნაპირებიდგან შუაში გროვებას იწყებს და დიდის ხნით შეიკვრის ხოლმე მისგან გუბე-ჭაობი ცხოვრებისა. ამ ზამთარს რამდენჯერმე მოიწმინდა და მოიკიდა ობი ჩვენმა ცხოვრებამ. ჩვენს პატარა ქალაქში ბევრი ქურდობა მოხდა. უფრო ხშირად ავეჯეულობა და საზამთროდ შენახული სარჩო იკარგებოდა სამზარეულოებიდგან, საკუჭნაოებიდგან და ან იმისთანა ოთახებიდგან, რომლებშიაც არავინ სცხოვრობდა. ყოველივე ესე ცხადად ჰმოწმობდა, რომ ქურდები მცხოვრებთა სიცოცხლისათვის საშიშარნი არ იყვნენ. როცა ალმოაჩინა ისინი ბოქაულმა და მასთან მრავალი ნაქურდალიც იპოვნა, დავინახეთ, რომ ამ უბედურს ქურდებს არც მოხმარება სცოდნიათ თავის ხელობის ნაყოფისა... ნივთები მიებარებინათ აქავე სხვა-და-სხვა ოჯახებში შესანახად. აქედგან ცხადია ისიც, რომ შიმშილისაგან გაჭირვებულთ-კი არ უპარავთ, არამედ რაღაც სხვა მიზეზით ყოფილან იძულებულნი. თუ გაუყიდნიათ რამე, ისიც მცირე ფასიანი გაუყიდნიათ. თვით ქურდნი ყველანი ხარჯის მძლეველთა წოდებისანი იყვნენ.

ამისთანანი ისე არ იქცევენ მეთვალ-ყურის ყურადღებას, როგორც ახალგაზდობა უმაღლესისა და საშუალო წოდებისა, რომელმაც მეტად მოუხშირა სხვა-და-სხვა ახალ მოდურ რაინდობას. ეს რაინდობა ის არის, რომ რომელსამე სასტუმროში გაიმართება ჯამ-ჭურჭლის მტვრევა და ხანდისხან ხანჯლების ტრიალიც. ჩვენში, მართალია, ყველანი ხანჯალს ატარებენ, მაგრამ ამ უკანასკნელ დრომდის ძნელად თუ ვინმე, ისიც ძალიან დიდის გაჭირების შემდეგ, ამოიღებდა ხანჯალს, ახლა-კი, ვინც არა გგონია, ხანჯალს ატრიალებს. კიდევ კარგი, რომ ჯერ ხანჯალს ბრალდებულთა სკამზე ბევრი არავინ გამოუჭიმავს, მაგრამ უეჭველად უნდა მოველოდეთ, რომ არ არის შორს ის დრო, როცა ქურდებიც დახელოვნდებიან და ამოწვდილი მახვილიც ბევრს ნავნებს იზამს. ბევრისა თუ ცოტას გარჩევით ესევე სოფლებშიაც.

ახლა ეს ვიკითხოთ, ან ეს ქურდები რამ გამოიყვანა საქურდლად და ან ეს ჩვენი ახალგაზდანი რად იქცევიან უწესოდ? თამამად შემიძლიან ვსთქვა, რომ ზემომოხსენებული ორივე გარემოება და მრავალი სხვა უწესოებანი, რომელთა ჩამოთვლით არ მინდა თავი მოვაწყინო მკითხველს, ნამდვილი ღვიძლი შვილები არიან იმათის დაუდევრობისა, ვინც მოვალენი არიან და უთამასუქოთ თავისი ვალი არაფრად არ მიაჩნიათ. არამც თუ არა სცდილობენ ვალის გადახდას, ფიქრადაც არ მოსდით, თითქო არც-კი ახსოვდეთ. ჩვენის პროვინციის ყველა პატარა ქალაქებში ინტელიგენცია მოხელენი არიან. ამათში, რასაკვირველია, ზოგს მიუღია უმაღლესი განათლება და ზოგს შუათანა სასწავლებელი დაუმთავრებია. თვითეულს ჩვენგანს თავი უვალო ჰგონია, თუ კი სამსახურისათვის დანიშნულს დროს შესაფერს საქმეს ასრულებს. დაგვივიწყნია, რომ ერთი უდიდესი და ძირითადი მოვალეობა ყველა განათლებულის კაცისა არის ერისა და ქვეყნის უსასყიდლო სამსახური რომ ეს სამსახური მოეთხოვება ყველას არა მარტო ზნეობრივის უფლებით, არამედ „ჩოტკზე“ გაკრულის ანგარიშითაც. ნუ თუ გვავიწყდება, რომ ჩვენგან შეტანილი სწავლის ფასი არ კმაროდა განათლების მიღებისათვის? ნუ თუ არ ვიცით, რომ თვითოეულ ჩვენგანზედ ბევრი, ძალიან ბევრია დახარჯული სხვის ნაწვავ-ნადაგი და ჰირის ოფლში მრავალჯერ დასველებული. ნუ თუ არ ვუწყით, რომ ეს ფული უნდა დავუბრუნოთ ერსა და ქვეყანას უსასყიდლო სამსახურითა, მიღებულ განათლების საძმოდ მოხმარებითა და განაწილებით? „სამსახურს ვასრულებთო!“ ბატონებო, აკი მაგისთვის ჯამაგირიც გვეძლევა. ვინც ჯამაგირიან სამსახურს აყვედრის ხალხსა, თავი დაანებოს სამსახურსაც ჯამაგირსაც და ყვედრებასაც, თუ არა

შნულია ბენეფისი სამუსიკო კრუჟოკის დირიჟორის ი. პ. ფალიაშვილისა. გამართული იქმნება სალიტერატურო სამუსიკო საღამო, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ქართულის თეატრის საუკეთესო არტისტები და, იმათ გარდა, მოყვარულთა ხორო, ბ-ნნი ცხომელიძე, რატილი, ფარანა და ქ-ნნი რატილისა, მიხეევისა და ერნესტოვისა. წარმოდგენილი იქმნება ვოდევილი „ცელქები“. ბ-ნი ვლ. ალექსი-მესხიშვილი წაიკითხავს „შეშლილის წერილებს“, დასდგამენ ერთს სცენას ოპერა „სტრადელლოიდგან“ და სხვ. იმედია, ქართველი საზოგადოება თანაგრძნობით მოეკიდება ბ-ნ ფალიაშვილის ბენეფისს, რომელიც ჩვენთა მუსიკის მცოდნეთა პაწია გუნდს ეკუთვნის.

*** ჩვენ მივიღეთ სოფ. ოსიაურიდამ თ. ნიკო ვეზირიშვილისაგან ორი თუმანი სხვა-და-სხვა ფონდების სასარგებლოდ და გადავეცით დანიშნულებისამებრ.

*** ქუთაისი: 7-ს ამ თვისას კავკასიის სამეურნეო საზოგადოების განყოფილების წევრნი მოწვეულნი იყვნენ საგანგებო კრებაზედ დასასწრებლად. კრებაზედ ლაპარაკი ჰქონდათ, რომ ბ-ნ პუზანკევიჩის მაგიერ, რომელიც მმართველი იყო სამეურნეო სკოლისა და რომელმაც ავადმყოფობის გამო სამსახურს თავი დაანება, მოწვეულ იქმნას ახალი მმართველი. ამის გამო დადგენილ იქმნა მიჰმართონ და სთხოვონ პროფესორს კოსტიჩევს შესაფერი კანდიდატი დაუსახელოს სამეურნეო საზოგადოების განყოფილებას. ამავე კრებაზედ მდივნად და ხაზინადრად განყოფილებისა, ბ-ნ გ. ზდანოვიჩის მაგიერ, რომელმაც სამსახურს თავი დაანება, არჩეულ იქმნა ბ-ნი ა. ნანეიშვილი. დასასრულ გამოცხადებულ იქმნა, რომ პირველს აპრილს სამსახურს თავს ანებებს მასწავლებელი სამეურნეო სკოლისა ბ-ნი როლლოვიო.

*** გაზ. „Русск. Вѣд.“-ს აუწყებენ, რომ გზათა უწყების სამინისტრო ამ ახლო ხანში შეუდგება ბათუმისა და ფოთის ნავთ-სადგურების განკარგებულს მდგომარეობაში მოყვანასაო.

## დამაკვირდი

როცა ძალიან განრისხებული ხარ, ნურასფერს ნუ დაიწყებ! სულელია ის, ვინც დიდს ქარში ხომალდში ჯდება.

ჰოგი.

**

ვინც ცოდვის ქმნას ჰშველის, ის ერთი-ორად ცოდვილია.

სირუსი.

## ნაწყვეტები

იამზე-ქალა მღეროდა,
ისეთი მინდა ქმარიო:
ქვეყნის მტერს გული უგმიროს,
ასვას შხამი და ძმარიო,
მოკეთეს წმლად დაედვას,
მოძმისთვის იყოს მკვდარიო,
თავს მაწონებდეს მის საქმე
მთვარე-მზის დასადარიო.

## კორესპონდენცია

**დ. ცხინვალი.** 5 ს მარტს. გვეწვია სახალხო სკოლების ინსპექტორი ბ. ფ. ტ. ბოლდანოვი, რომელმაც დაათვალიერა აქაური სკოლა და ურჩია ხალხს სამეურნეო განყოფილებაც მიუმატეთო, რომლისათვისაც მთავრობა ოთხმოცს თუმანს მოგცემთო წელიწადში. აქაურნი მცხოვრებნი ზოგი სიხარულით მიეგება ამ საქმეს და ზოგს კი ვერაფრათ ეპაშნიკა, რადგანაც დასჭირდებათ ფართო ადგილის შეძენა ბაღისათვის და ამას ფული ბლომად მოუნდება. ბატონმა ბოლდანოვმა დაგვითვალიერა აგრეთვე სამკითხველოც და შემოსწირა სამი მანეთი თავის მაგივრად და ექვსი მანეთიც თან მოყოლილის ორის ყმაწვილის მაგიერად. იმისავე თხოვნით შემოსწირა თ. კ. ერისთავმა ორი მანეთი და ერთი მანეთიც—საჩინო პეტრეს ძე მურადაშვილმა.

6-ს მარტს გვქონდა სალიტერატურო საღამო სამკითხველოს სასარგებლოდ. წაკითხულ იქმნა: რამდენიმე ადგილი „ოთარაანთ ქვრივისა“, «ელისო.» მ ყაზბეგისა და მრავალი ლექსები და სცენები ჩვენის წარჩინებულის მწერლებისა. წაკითხულ იქმნა რამდენიმე რუსული ლექსიც, იმღერეს აგრეთვე რამდენიმე საუკეთესო სიმღერა ქართულად ვანათის მასწავლებელის ბ. ა. ჯალიაშვილის ლოტბარობით. დიდად ასიამოვნა საზოგადოება ზოგიერთმა სიმღერამ და მეტადრე თ. ნ. ერისთავის წაკითხულმა ლექსებმა და იმერულმა სცენებმა. აქაური საზოგადოება უფრო ეტანება ლოტოსა და ქაღალდის თამაშობას და აი ეს გახლდათ მიზეზი რო ცხინვალელთაგან სულ არ დაესწრო საღამოს ათი კაცი; დანარჩენი საზოგადოება სულ წევრნი იყვნენ სამკითხველოსი და თ. მაჩაბლები. ამ საღამოზე დასწრება ღირდა ექვსი შაური იმ აზრით, რომ ხალხისათვის გაგვეადვილებინა მოსმენა ჩვენის წარჩინებული მწერლების ნაწარმოებისა.

დასასრულ, ცხინვალის სამკითხველოს კომიტეტი უგულითადესს მადლობას უძღვნის: ბ. ფ. ტ. ბოლდანოვს ასეთის თანაგრძნობისათვის და აგრეთვე ყველა იმათ, ვინც მხურვალე მონაწილეობა მიიღო საღამოში: თ. ნ. ერისთავს, ვანათის მასწავლებელს ა. ჯალიაშვილს, მ. კვეცხოველს, რომელმაც გარდა მონაწილეობის მიღებისა შემოსწირა სამკითხველოს I ტომი ილია ჭავჭავაძის თხზულებათა, თ. ლ. ციციშვილს, თ. ი. მაჩაბელს, მ. ყანჩაველს გლეხს სოლომან ზანგალაძეს, რომელმაც კითხვაც არ იცის, მაგრამ, გაიგო რა მნიშვნელობა სამკითხველოსი, შემოსწირა ორი მანეთი. იმედია ჩვენი საზოგადოება არ დასტოვებს უყურადღებოდ ცხინვალის ღარიბ სამკითხველოს და მოაწვდის ხელს დასახმარებლად.

სამკითხველოს მცველი რევაზ ფავლენიშვილი

**სოფ. ზაყა** (ოსეთი): ეს სოფელი მთა ადგილია. ადგილ მამული მცირე აქვს და თან მეტად მწირიც არის. უგზოობა უფრო აწუხებს აქაურებს. სოფ. ნარიდგან ზაყამდინ თხუთმეტი ვერსია; ამ თხუთმეტის ვერსის ურმით გავლა არ შეიძლება, უთუოდ ცხენით ან ფეხით უნდა იაროს კაცმა. 1893 წ. ზაყელების ბედი სულ უკუღმა დატრიალდა. უიმისოთაც მწირ ალაგში სულ არაფერი არ მოუვიდათ-რა: არც ქერი და არც თივა. ხალხი იძულებული შეიქმნა,—25—30 მანეთის ღირებული ხარძროხა, საკვების უქონლობის გამო, ჩირის ფასად გაეყიდნათ. თავიანთ საზრდოთ-კი სიმინდს ეზიდებოდნენ ბარის-ოსეთიდგან. მაგრამ, მათ საუბედუროდ, თებერვლის პირველ რიცხვებიდგან დაიწყო თოვლა, და სამი კვირა განუწყვეტლივ ითოვლა; ამის გამო შეიკრა გზები და ხალხი ვეღარ გამოვიდა გარედ; ასე გასინჯეთ, წყალიც ვეღარ მიჰქონდათ სახლში სასმელად. სოფლად ორ ალაბსა და ორ გოჯზედ მეტი მოვიდა თოვლი; სოფელს გარედ ორ ალაბ ნახევრამდე. ხალხს, რაკი გზა შეეკრათ ღონისძიება აღარა ჰქონდათ ნარიდგან საზრდოს მოტანისა, მათის საცოდაობით ქვაც-კი ატირდებოდა, ისე შეწუხდა ხალხი შიმშილით. ახლა ზაყაში მცხოვრებნი იმასა სტირიან, რომ გაზაფხულზედ ამოდენა თოვლს გვიან აიღებს, ქერის თესვაც დაგვიანდება, და ვაი თუ მერმისსაც უარესს გაჭირვებაში ჩავცვივდეთო.

ქართველი ოსებში

## კახეთის ცხოვრება

ორი თვე ამ 1894 წლისა გადავაგორეთ და წესი და რიგისამებრ შეუდექით მარხვასა სინანულისასა. როგორ განვლო ამ ორმა თვემ, რა საქმეების მოწამე იყო იგი? აი ის კითხვები, რომლებიც უცნებლიეთ წინ წარმოგვიდგა ამ წერილის დაწყებისავე უმალ. პირ-და-პირი პასუხი ჩვეულებრივი უფერულობა, უარარაობაა, რასაკვირველია, მაგრამ ზოგიერთა კახეთის მომხდარი საქმეები-კი არ შეიძლება არ აინუსხოს. მით უფრო, რომ ერთის მხრივ ასე თუ ისე კახეთის ავლა-დიდებას ნათელსა ჰფენს და ჩვენსავე უყურადღებოთ ყურის ბალიშზე ძილს ხომ სავსებით გვიხატავს. მაშ სჯობს რიგი და წესისამებრ ხრონოლოგიურად ამოვწეროთ კახეთის ამბები წარსულ ორი თვის განმავლობაში მომხდარი. იანვარი უფრო დინჯი თვე იყო. დარ-ამინდით-კი არ მოგახსენებთ, ისე. იანვრის განმავლობაში აქეთკენ საგულისხმიერო არა მამხდარა-რა. რასაკვირველია, ერთი-ორიოდ უსიამოვნო შემთხვევა, რაც არა იშვიათია კახურის დაჭარბების წყალობით, რომ სათვალავში არ ჩავრიცხოთ. უფრო საგულისხმიერო ამბები თებერვალში მოხდა. თებერვალი თუმცა საზოგადოდ დღე მოკლეა, მაგრამ დღე-მოკლეობამ რა ქნას, როცა დაგუბებული სიძუნწე საჭურჭლეში ვეღარ დაეტევა.

თებერვალმა თავისი ყაყანით-ალიაქოთით დაიწყო და ბოლოს მიწურულებამდე ასე აფორიაქებული განვლო. ერთს მშვენიერ დილას, მკითხველო, თელავში რომ გაგევლო, შენდა-უნებურად თვალ-წინ წარმოგიდგებოდა ის დრო, როდესაც კახეთს საზოგადოდ და კერძოდ თვით თელავს დაუძინებელი მტერი ლეკი შემოესეოდა ხოლმე და უწმაწურად ანადგურებდი ყველას და ყველაფერს.

დიახ, ამ მშვენიერ დილას თქვენც ნახავდით სამოქალაქო ბაღის მილეწილ-მოლეწილ მოაჯირს, დუქან სახლების მიმტვრეულ დარაბა-წყლის მილებს.

ამ უწესოებასთან ერთად თქვენს ყურადღებას მიიქცევდა ქალაქის მოწესე—მეთვალყურეთა დაფაცურება. კარგია განა, ქალაქი არიონ-აწეწონ, მაშინ, როცა ქალაქს თავისი ჯეროვანი რიცხვი მოწესე-მეთვალყურე ჰყავს. მერე როგორ მოხდა ეს, რომ მეთვალყურენი, მხოლოდ მაშინ დაფაცურდნენ, როცა საქმეს აღარა ეშველებოდა-რა, ე. ი. როცა წესი და რიგი ყოფა-ცხოვრებისა უკვე შერყეულ-შელახული იყო. ისე, ჩემო ბატონო, რომ ჩვენს მხარეს კახეთს ეძახიან და კახურის მოჭარბება არავისთვის არის აქ საძრახისი. თუ ეს არ არის საძრახისი, რასაკვირველია არც ის უნდა იყოს.

ნაკლად ჩისათვლელი, რომ ღამე, რა დროც უნდა იყოს, ქალაქი უპატრონოდ არის დატოვებული...

რა ვუყოთ, რომ ქალაქი ხარჯს იხდის! რა უყოთ რომ ქალაქს მეთვალყურენი ჰყავს და მეთვალყურეთაც უფროსნი ჰყვანან! უფროსთ თავისი სამსახური აქვთ და ქალაქისთვის ვისა სცალიან. თელავი განა რა ისეთი დიდი ქალაქია, რომ უეჭველად დანაშაული, თუ უწესობა სწორედ დასაწყისშივე შეფერხდეს—მოისპოს...

მეორე-მესამე დღესაც არ დაიმალება დანაშაულის ჩამდენთა ვინაობა, მაშასადამე, ყოველთვის შეიძლება „პროტოკოლი“ შესდგეს, სადაც ჯერ არს გადაეცეს და საქმე გაკეთდეს. შეიძლება გვერდიც აექცეს და დავიწყების დიდ დავთარს მიეკეროს. ქალაქი? ქალაქი ისევ ქალაქად დარჩება თავის დეპუტატ საბორჩიკითურთ.

თებერვლის შუა რიცხვებში უფ-

---

და საჯამაგირო სამსახურს გადარჩომილ დროდგან დღეში ნახევარ საათი შევწიროთ ხალხს უსასყიდლოდ, შევსწიროთ ყველამ განურჩევლად ეროვნობისა, სქესისა და ჩამომავლობისა. ხალხისათვის განათლების ძმურად განაწილების დროს ადგილი არა აქვს არავითარს განსხვავებას და სხვა-და-სხვაობას. აქ ერთი და ყველასათვის საერთო სურვილია, გადასცე ნაწილი შენის ცოდნისა ისე, რომ ხალხმა ადვილად შეითვისოს, ან რამდენისამე წამით მისი ცხოვრება დაატკბო და დროებით დღიური ვარამი დაავიწყებინო მოძმეს, მოყვარეს. თვითოეულს სამაზრო ქალაქში უმაღლეს და შუათანა სასწავლებელში სწავლა-დამთავრებული მოიპოვება არა ნაკლებ 30-სა. $1/2$ საათი თითოსაგან დღეში, შეადგენს 15 საათს, კვირაში 105 საათს. კვირაში ერთხელ ერთის საათით შევიყარნეთ, ავსწონ-დავსწონოთ გაკეთებული და გასაკეთებელი. დაიხარჯება 25 საათი. დანარჩენი დრო დაახლოებით ასე გავანაწილოთ: კვირაში ერთხელ გავმართოთ საუბარი მდაბიო ხალხისათვის სამს ენაზედ, თითოსათვის დაგვჭირდება ორი მოსაუბრე თითო საათით. სულ 6 საათი. გავმართოთ წინადვე არჩეულს მოედანზედ თამაშობა ბავშვებისათვის და დიდებისათვის. მუდამ სადა დღეს ორი საათი და კვირა დღეს 6 საათი უწინამძღვროთ ბავშვებს თამაშობაში, თანაც დავიცვად წესი. სულ მოუნდება 36 საათი. ორ კვირაში ერთხელ გავმართოთ სალიტერატურო საღამო. ამას მოუნდება 6 კაცი სამ სამის საათითა, რადგანაც საღამოდამ ვერ დაბრუნდებიან თავთავიანთ სახლში, სულ 18 საათი, კვირაში 9 საათი. თვეში ერთხელ წარმოდგენა გავმართოთ; რაც დრო გადაგვრჩება, ის საკვირაო სკოლებს და სოფლებს მოვანდომოთ. თქმა არ უნდა, რომ რაკი კვირაში მე $3\frac{1}{2}$ საათს შევსწირავ საზოგადო ცხოვრებას, ეს დრო შემიძლიან ერთ დღესაც შევსწირო და ნაწილ-ნაწილადაც, იმისდა მიხედვით, როგორ მოითხოვს გარემოება და ჩვენისავე კრებისაგან დაწესებული დროს განაწილება.

ნურავინ გაიმართლებს თავს ამა-და-ამ საქმისათვის უნარი არა მაქვს და ძალა არ შემწევსო, მაგ საქმისათვის აქ უნარის უქონლობა არაფერს შუაშია, ყველასათვის მისის ნიჭის და მოხერხების შესაფერი საქმე აღმოჩნდება. თქვენ სურვილი იქონიეთ, ხელი გასძარით და ყოველივე სხვა თითონ მოვა, ყველანი ხელს მოგვიმართვენ. განა ცოტა ეხარჯება ხალხს დამღუპველ დროს ტარებაში? ამისი ნახევარიც საკმარისია, რომ, სათამაშოები-კი არა, ბევრი სხვა სიკეთე დაითესოს. თქვენ, მხოლოდ ფხა გამოიჩინეთ და გამხნევდით,—ამ საქმისათვის დაივიწყეთ, რომ შენ მსაჯული ხარ, ის—მაზრის უფროსი, ერთი—შუა-კაცი, მეორე—მასწავლებელი, მესამე—ბოქაული, მეექვსე ვაჭარი, მეშვიდე—ექიმი, მერვე—ვექილი და სხვანი.

ის ხომ კარგად იცით რომ ჩვენ ყველანი ვთავსდებით ერთს ეკკლესიაში და იქ არავის ჩვენგანს არ ახსოვს ხარისხთა განსხვავება? და თუ ახსოვს ვისმე წინაშე წმიდისა სამსახურისა თვისი ხარისხოვნება, იგი შემცდარია.

დიდ ღვთისადმი სამსახურიც, როგორც ღვთის დიდება, წმინდა საქმეა და ყოველნი უნდა „ურთიერთარს ვიყვარებოდეთ, რათა ერთობრივ ვაღვიარებდეთ“ და ერთობრივ ვასრულებდეთ მოვალეობას. ამასთან ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს ჩვენი უსასყიდლო სამსახური ძალიან გაგვიადვილებს სასყიდლიან სამსახურსაცა.

მაშინ და მხოლოდ მაშინ აღარ გავიგონებთ სამწუხარო ამბავს, რომ წუხელ სასეირნო ბაღის მოაჯირი დაუქცევიათ, ან საწვეთის წყლის მილები დაუმტვრევია ჩვენს ახალგაზდობასაო, ან ლოტოზედ ესა და ეს ქალი წაჩხუბებულანო, ან ამა და ამ ქაღალდის თამაშობაში ტლეკვა მოსვლიათო. აღარ გავიგონებთ ლოტოს გულისათვის როგორ ანებებენ თავს დედანი მაწოვარნი შვილებს ოთხის საათითა და საზოგადოდ, როგორ იტანენ ამოდენის ღამის ტეხასა. დღეს-კი რა უდნა ჰქნან, ან ქუდოსანთა, ან მანდილოსანთა, თუ-კი სხვა უკეთესი გასართობი არ მოეძებნებათ არც სამაზრო ქალაქში და არც სოფელში.

კარგად ვიცით, რომ ყველა ადამიანისთვის, რომელ-ხარისხზედაც უნდა იდგეს გონებრივის განვითარებითა, აუცილებლად საჭიროა დღიურ ვარამის დასავიწყებლად, ანუ ყოველდღიურ საქმის შემდეგ გართობა და ამასთან ისეთი გართობა, რომელიც დავიწყებამდე გიტაცებდეს. თვით ამ დავიწყებამდის გატაცებაშია მისი დასვენება. უამისოდ დასვენება არ არის სრული, ბუნება ადამიანისა არ კმაყოფილდება, თუ დავიწყებამდის არ იქმნა გატაცებული. ამის მიზეზი მრავალია, ჩვენ მის გამოძიებას აქ არ შეუდგებით.

რო საყურადღებო და მასთან დიდად სამწუხარო ამბავი მოხდა. „ობლის კვერი ცხვა-ცხვა და მაინც კიდევ ვერ გამოცხვაო“, ტყუილად-კი არ უთქვამს ჩვენს ხალხს. რა წეს-კანონი არ არის დასტამბული საზოგადოდ ობოლთა შესახებ რომ მათ ჯეროვანი პატრონობა ყურადღება ჰქონდეს მიქცეული, მაგრამ... მაგარიც ის არის, რომ ჩვენში სხვისა ჭირი ღობის ჭირად ჩხიაჩნიათ...

15-ს თებერვალს რვა წლის ობოლს სოფ. მაღრანში მცხოვრები ნათლიშვილისა 420 დღიური სახნავი და ტყე ოცდა ორ თუმან ვალში გაიყიდა... მერე რა მამული და რა ტყე? განა ანგარიში-ღა საჭიროა, თუ რა უფასოდაც გაიყიდა ეს მამული? მერე სად გაიყიდა, არ იკითხავთ? სადმე სოფლად ბაზარში-კი არა—არა თვით თელავის სამართველოში. იმ სამართველოში, რომელიც მოვალეა თვითონ იყოს მფარველი ყოველივე უწესოებისა; იმ სამართველოში, რომელიც მოვალეა თვითონ იფარავდეს, ინახავდეს ობლების ავლადიდებას და ობლების ქონების მფარველი იყოს:

მაშ რად მოხდა ეს მეტის-მეტად სამწუხარო ამბავი? რად გამოეცალა საწყალს. უპატრონო რვა წლის ბავშვს პირიდგან ლუკმა, რაც სულს გარეითად ებადა, რასაც იგი უნდა აღეზარდა. ეს წყვდიადით არის გარემოცული და აი დღეს ვინც-კი ეს გარემოება შეიტყო, ყველა აღელვდა, ყველას აეძგერა გული პატარა ობლის დაცვა-მფარველობისა. ზოგიერთებმა მოინდომეს კიდეც გაყიდულის მამულის გამოსხნა ობლისავე სასარგებლოდ. იმ განსხვავებით, რომ დღეს ობოლმა სამუდამოდ დაკარგა მამულ-დედული და იმათ-კი მამულის შემოსავლიდგან უნდოდათ დანახარჯი აენაზღაურებინათ და თვით მამული-კი ობლისათვის არ გამოეწირნათ. მერე? მერე ის, რომ მამულის მყიდველმა ამ ზოგიერთა კეთილ-განმძრახველ პირთ ავაზაკთა ბრბო უწოდა... *) მაინც საქმე წაგებულად არ მიგვაჩნია, რადგან ჩვენ დარწმუნებით ვიცით, რომ ობლის შორეულმა ნათესავებმა მიჰმართეს თელავის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლს და სთხოვეს ობოლს აზნაურს მფარველობა გაუწიოს. კანონით მაზრის წინამძღოლი მოვალეა მისდამი რწმუნებულ თავად-აზნაურთა ქონება მამულ-დედული უზრუნველ ჰყოს და კანონიერი მფარველობა გამოუჩინოს. როგორც შევიტყეთ, მაზრის წინამძღოლს თ. ი. ჯორჯაძეს ობლის ნათესავისათვის აღუთქვამს ყოველ ღონეს ვიღონებ, რომ ობოლს მამულ-დედული არ ჩამოეცალოს, თუ, რასაკვირველია, ამ შემთხვევაში კანონიერი დაბრკოლება არა დამხვდარაო. ჩვენ კერძოდ სრული იმედი გვაქვს, თ. ი. ჯორჯაძე ამ საქმეს ჯეროვანის მეცადინეობით მოეკიდება და ერთხელ და სამუდამოდ დაიხსნის უპატრონო ობოლთ უსინიდისო წეწვა-გლეჯისაგან.

უკანასკნელი კვირა თებერვლისა მეტად თვალ საჩინო იყო კახეთისთვის. ყველიერთან ერთად ზედი-ზედ მოჰყვა სხვა-და-სხვა საქველ-მოქმედო მიზნით გამართული დროს ტარება. ქუჩები სხვა-და-სხვა ფერის განცხადებებით ააჭრელეს. ეს სამუსიკო საღამოო, ეს საცეკვაო საღამოო, ეს „ფოკუსნიკიო“ და სხვა. ყველა წესსა და რიგზედ მოიმართა, მაგრამ ამ „ფოკუსნიკს“-კი თქვენი მტერია, რომ ღლე დაადგა. ხარჯი გასწია და დანიშნულ საღამოს მორთულ-მოკაზმულ დარბაზში სკამების მეტი მაყურებელი ვერ მიიზიდა...

იმედ გაცრუებული ფოკუსნიკი მაყურებელთ ღამის თერთმეტ საათამდე ელოდდა, მაგრამ ამაოდ, ჩამიჩუმი არსაიდამ იყო. გაბრაზებულმა თვალთმაქცმა სტაცა ქუდს ხელი და ერთი წამიც აღარ დამდგარა... დარბაზში-კი არა, თვით თელავშიაც-კი... ამ დროსტარება სიამოვნებასთან ყველიერმა ბევრი ცრემლიც აფრქვევინა კახეთის ზოგიერთ მკვიდრთ. ისე დღე არ გადიოდა, რომ არ გაგვეგოთ, ამა და ამ სოფელში საქანლიდან მოქანავენი გადმოცვივდნენ.. ერთმა იქვე დალია სული, მეორე საშინლად დამახინჯდაო. გაქანებული საქანელა სამი წლის ბავშს თავში მოხვდა და თავი ისე დაუშავა, რომ მორჩენის იმედი აღარა აქვთო, და სხვა ამ გვარი არა სასიამოვნო ამბები ხშირად ისმოდა უკანასკნელ ერთი კვირის განმავალობაში.

ი. კახელი

*) ან რაზედ დაანებებს თითქმის უფასოდ ხელში ჩ გდებულს მამულს. მამული სულ ორმოცდა ექვს თუმნად გაიყიდა. ესეც-კი საკვირველია, რომ ამოდენა ფასი დასდეს მამულს, რადგან დაჭეშმარიტებით ამბობენ, რომ ვაჭრობაში შესულ ხუთ კაცს ერთმანეთში პირობა წინადვე შეეკრათ, მამული ჩალის ფასად დავინარჩუნოთ საამხანაგო სასარგებლოდო. ეს გარემოება დაფარული არ იყო თვით ვაჭრობის დღესვე. თვით ობლის მზრუნველიც-კი ვაჭრობაში არ დასწრებია.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებითგან)

ჟურნალ „Русская старина“-ში იბეჭდება მოგონება-სახსოვარნი ექიმის ა. ილინსკისა ყაზანის უნივერსიტეტის შესახებ, რაც-კი რამ მეორმოცდა-ათე წლებში მომხდარი. აი რასა სწერს ილინსკი მკურნალობის პროფესორ ვილაც ბლოსფელდის შესახებ.

პროფესორს ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა და თავის ცოდნას დიდად იზოგავდა, მსმენელი არ გადასცემდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ რუსები მკურნალობას ვერ ისწავლიან, მეტადრე სასამართლო სამკურნალო ცოდნას ვერასოდეს ვერ შეიძენენო. ხშირად გვეტყოდა ხოლმე ლექციების დროს: „გერმანელის ტვინი და ტვინი რუსისა სულ სხვა-და-სხვა გვარად არის მოწყობილი. თუმცა ორივეს მოეპოვება ტვინი, მაგრამ ამ ტვინის ძაფები განსხვავებულადა აქვთ მომართული და ამიტომ რუსის ტვინი ვერ ითვისებს მეცნიერებას, როგორც მაგალითად ფილოსოფია და სამკურნალო ცოდნაა. რადგან ჰიპოკრატი ამბობს, ექიმი ფილოსოფოსი ღმერთს ემადლებაო (Medicus-philosophus Deo similis est), რუსი ამ გვარად ვერ გაჰხდება ღმერთის ბადალი, რადგან ამისათვის ტვინი არ უწყობს ხელსაო“.

—

იმავ ჟურნალის მარტის წიგნში დაბეჭდილია საყურადღებო საბუთის ქაღალდი, დაცინვის კილოთი დაწერილი 1821 წ. მაშინდელ საინჟენერო უწყების გენერალ-ინსპექტორის დიდის მთავარის ნიკოლოოზ პავლეს ძის მიერ იმის გამო, რომ გოფ-საინდენდანტსტვო ერთის კაპეიკის გადახდასა თხოულობდა. აი ეს ქაღალდი:

შევიტყე რა. რომ საინჟენერო დეპარტამენტს იმ ფულისა, რომელიც ქვრივებსა და ობლებს ეძლევათ სადგომის ხარჯად, იმის მაგიერ, რომ 1891 წ. 10,000 მანეთი გადმოეცა თქვენთვის, მხოლოდ 9,999 მან. 99 კაპ. გარდაუხდია და შევიწყნარე რა იმათ მიერ თავის გასამართლებლად წარმოდგენილი საბუთი, რომ ვითომ ეგ ფული ოთხ-ოთხის თვისა გარდავიხადეთ ყოველს გარდახდაზედ ერთი მესამედი საერთო რიცხვისა და საინჟენერო დეპარტამენტს 43 კაპ. არ ჰქონდა, რადგან ასეთი ფული სულ არ მოჭრილაო,—მე სამდურავი გამოვუცხადე ამ დეპარტამენტს. თქვენს მაღალ აღმატებულებას-კი ამასთანავე ვუგზავნი ხსენებულს კაპეიკს, ვთხოვ შემატყობინოთ მაგის მიღების ამბავი და ამასთან სიამოვნებით ავღნიშნავ, რომ თავ-გამოდებულნი ხართ ხაზინის ინტერესებისათვის, ვინაიდგან, ერთი კაპეიკიც არ დაგკლებოდათ სახელმწიფო ქაღალდი, ბეჭედი და კონვერტი არ დაგიშურებიათ ორის თქვენის მოწერილობისათვის, მე 4604 და 4835 №-ბისა, და არც მესამისათვის დაჰზოგავთ და შემატყობინეთ, რომ ეს ფული მიიღეთ.

საინჟენერო ნაწილის გენერალ-ინსპექტორი „ნიკოლოოზი“.

## რუსეთი

—

გაზეთებში იყო მოხსენებული, რომ უკვე შემუშავებულია პროექტი წვრილმან სესხისა და ამ დღეებში შეტანილი იქმნება სახელმწიფო საბჭოში მის და განსახილველადაო. აი დედაარსი ამ პროექტისა. უმთავრესი დებულება საკრედიტო დაწესებულების ის არის, რომ იგი შემწეობას აძლევს ყველას, წოდებათა განურჩევლად. წვრილმან სესხის აღმოსაჩენად შეიძლება პაიებით ამხანაგობანი დაარსდეს, თანხით შესდგეს ამხანაგობა, საურთიერთო სასოფლო ბანკი და ან შემნახველ გამსესხებელი კასსა დაარსდეს. ასეთ დაწესებულებათა დაარსების დროს სახელმწიფო ბანკს შეუძლიან ფული მისცეს სესხად, თუ საჭირო გახდა. იმ ამხანაგობაში, რომელიც დაარსებულია ამხანაგთა მიერ შეტანილ საწევრო ფულით, ფულის შემომტანთ უკანვე უბრუნდებათ ფული და სარგებელიც ეძლევათ ამხანაგობის მოგებიდგან. თუ ფულის შეტანის დროს ეს გარემოება ქაღალდში მოხსენებული არ იქმნა, ის ფული ამხანაგობის სასარგებლოდ შეწირულად ითვლება. ფულის შეტანა და მიბარება შეუძლიანთ, წევრთ გარდა, სხვათაც. საკრედიტო ამხანაგობის ვალდებულებანი შეიძლება მხოლოდ ერთი ხუთად აღემატებოდეს ძირეულს თანხას. სესხის გატანა, მხოლოდ ამხანაგობის წევრთ შეუძლიანთ: თითოეულად 150 მანეთამდე, ერთობით, რამდენსამე ერთად, 500 მანეთამდე. სამ გვარად შეიძლება გატანილ სესხის უზრუნველ-ყოფა: ან ნდობაზედ იქმნება იგი დამყარებული, ან თავმდებობაზედ და ან განსაკუთრებულს გირაოზედ. სარგებელი წელიწადში მანეთზედ თორმეტი კაპ. შეუძლიან აიღოს ამხანაგობას. გირაოდ შეიძლება შეტანილ იქმნას როგორც სოფლის მეურნეობის ნაწარმოები, ისე ოჯახის მოწყობილობა და ავეჯეულობა. ამ სესხის გაცემის გარდა, კანონ-პროექტი დაწესებულებათ ნებას აძლევს საკომისიო საქმეები იკისროს, თავის მსესხებელთათვის წარმოებისათვის გამოსადეგი მასალა იყიდოს და აგრეთვე მისი ნაწარმოები გაჰყიდოს. ამ ამხანაგობასვე ნება ეძლევა სესხი ფულის გამტანთ ადმინისტრატიულის წესით გადაახდევინოს. საზოგადო მეთვალყურეობა ამ დაწესებულებაზედ უნდა გასწიოს განსაკუთრებულმა განყოფილებამ, სახელმწიფო ბანკის საბჭოსთან დაარსებულმა, რომელსაც ამისათვის საგანგებო ინსპექტორები ეყოლება. ამ ინსპექტორებმა უნდა დაამტკიცონ და სცვალონ საკრედიტო ამხანაგობათა მმართველობის წევრები, რევიზიას ახდენენ და ხელმძღვანელობენ მმართველობის წევრებს.

## გასართობი

—

— რა ხელი მაქვს მე სხვა ქალთან, როდესაც შენ ერთად-ერთი შეადგენ ჩემთვის მთელს ქვეყანას, უთხრა მეტად მოალერსე ქმარმა თავის მოხუცებულს ცოლს.

ეს სიტყვები ახალგაზდა მოახლემ გაიგონა მეორე ოთახში და როდესაც ამის შემდეგ თავისმა ბატონმა მიუალერსა, უთხრა:

— როგორ არა გრცხვენიანთ, ბატონო, რომ თავს ანებებთ თქვენს ქვეყანას.

— გაჩუმდი, სულელო! შენ არ იცი, რომ ქვეყანა ორია: ძველი და ახალიო, მიუგო ბატონმა.

**

ერთს მდიდრულს სადილზედ სტუმართ შორის ჩამოვარდა ლაპარაკი ფულის ღირსებასა და ძალაზედ. ერთი მდიდარი ებრაელი ამტკიცებდა, რომ მხოლოდ ფული განაგებს მთელს ქვეყანას და იგი სჯობია სიმამაცესაც, ნიჭსაცა და ჭკუასაცაო. მეორე სტუმარი, ახალგაზდა მხატვარი, გაცხარდა ებრაელის ნათქვამისა გამო და ის იყო უნდა ბოთლი ესროლა ებრაელისთვის. ებრაელი წა-

---

ჩვენ ვიცით, რომ ათი-ათასის წლობის გამოცდილებით ადამიანს მრავალი სხვა და სხვა ღონისძიება მოუგონია ამ სურვილისა და გულისთქმის დასაკმაყოფილებლად. ზოგიერთი ამ ღონისძიებათაგანი ადამიანს ზნეობით ჰყვრნის, გრძნობას და გონებას უჩლუნგებს და ხორცს უუძლურებს; ზოგი-კი ადამიან ზნეობრივად აფაქიზებს, გრძნობას და გონებას უმაღლებს და უმაგრებს. უკანასკნელ ღონისძიებათა შორის პირველობა ქრონოლოგიითა და მნიშვნელობით უჭირავს გართობა თამაშობას. აქიგულისხმება ყველა ის გართობა—თამაშობა, რომელიც კარში, გაშლილ მოედანზე სწარმოებს და რომელშიაც მოგება ჯობნაა და არა ფული. ბანქოლოტო და სხვა ამისთანა გართობა თამაშობანი პირველის დარგის სათამაშოთა შორის არ ჩაითვლება, რადგანაც იმათის თამაშობით კაცი თუ ქალი ზნეობრივ და გონებრივ სუსტდება. ყოველ ერს თავის ზნისა და ჩვეულების შესაფერი გართობა-თამაშობა მოუგონია, როგორც ორისავე სქესის ყრმათათვის, აგრეთვე ჭაბუკთა და ქარმაკთათვის. ქართველობასაც ჰქონია დასცოდნია გართობა-თამაშობა. ახლა-კი მათ შორის ცოტა-ღაა დარჩენილი. ჩვენში მომეტებულათ ყრმანი-ღა თამაშობენ და ათასში ერთხელ ჭაბუკნი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმერეთში დარჩომილს ბურთაობას, რომელშიაც ყველანი, განურჩევლად წოდებისა და წლოვანებისა, იღებენ მონაწილეობას და რომელიც უფრო ხშირად იციან ჯვარობას. აღმოსავლეთს საქართველოში-კი, არამც თუ თავად-აზნაურობა, ეს წინად ერთად-ერთი გამგე და მოწინამძღვრე თამაშობისა, არამედ ქარმაკნი გლეხნიც არ იღებენ მონაწილეობას გართობა-თამაშობაში. ჭაბუკნიც ყველანი არა თამაშობენ. ამ თავისუფალ დროისთვის გაჩენილს გასართობს სოფელმა ცოტად თუ ბევრად ზურგი შეუქცია და ქალაქმა ხომ ახლო აღარ გაუარა. ამაში სოფლად მომეტებული ბრალი აქვს თავად-აზნაურობას და ქალაქში — ინტელიგენციას, რადგანაც იქ იმან, და აქ ამან კარგა ხანია ხელი აიღო ამ მეტად საყოველთაო სასარგებლო და დიდ მნიშვნელოვან საქმეზედ. სოფლად მცხოვრები თავად-აზნაურობა და ინტელიგენცია, რომელიც სოფელში ღამე ორ საათზედ იძინებს, შუადღისას დგება, სჭამს, სვამს, ამთქნარებს, იძინებს, იღვიძებს და ბევრს უმ გალითო მაგალითს აჩვენებს ხალხსა, მოვალეა, რომ ეს ჯანმრთელობისათვის საუკეთესო და სხვა-და-სხვა ბიწიერებისაგან უებარი დამხსნელი გართობა-თამაშობა ისევ აღადგინოს ხალხში. იქამდის მივიდა საქმე, რომ თამაშობის წესნიც-კი სრულიად აღარ ახსოვს ხალხსა. საჭიროა, ვინც კარგად იცის რომელიმე თამაშობა, დაწვრილებით აგვიწეროს, რომ გავავრცელოთ. არ იქმნება ურიგო, რომ განათლებულ ერთა საუკეთესო გართობა-თამაშობასაც შევაჩვიოთ ჩვენი სოფლელნი და ქალაქელნი. ამისთანა გართობა-თამაშობას, მწერლობა გაგვაცნობს და ყველა მოვალეა გაავრცელოს. ამ მოვალეობას ვერ აირიდებენ თავიდამ მღვდელიც-კი, რადგანაც ყველაზედ უმანკო დროს გატარება, შემდეგ ლოცვისა, არის თამაშობა და უმანკოდ ცხოვრებას ხომ ისინი უნდა გვიქადაგებდნენ...

არც ერთ სასოფლო და სამაზრო სკოლაში არ უგდებენ ყურს მოსწავლეთა გართობას თავისუფალ დროს. „პროგრამაში არ გვიწერიაო!“ შე კურთხეულო, რად გინდა პროგრამა, ვინ გიშლის? დასდევით პირობა, რომ დღეში ერთი ან ორი საათი ითამაშოთ ყმაწვილებთან ერთად. ხომ ჩემზედ კარგად იცით, რამდენად სასარგებლოა თქვენთვისაც და მოსწავლეებისთვისაც, რამდენად გაგვიადვილებთ სწავლის საქმეს, რამდენად აშორებს ნორჩს არსებას გარყვნილებასა და სხვანი და სხვანი. მაშ ვილას ბრძანებას ველით?

არ გეგონოთ, რომ მარტო თამაშობით გართობას ვურჩევდე ვისმე, მაგრამ ამასთან ღრმად დაჯერებული-კი ვარ, რომ რამდენადაც კარგად მოწყობილ თამაშობას მეტს თავისუფალს დროს მოვანდომებთ, იმდენად ჩვენი მუდმივი საქმე გაგვიადვილდება, იმდენად გონება და გრძნობა მოშორებული იქმნება უკულმართობას და ურიგობას.

ათასთა და ათი-ათასთა სოფლელთა და მოქალაქეთა პირით ვსთხოვ ყოველთა ზემორე ამისა მოხსენებულთ, რათა მცირეოდენის დროს შემოწირვით მოგვცენ ისეთი ღონისძიებანი თავისუფალ დროს გატარებისა, რომელნიც ჩვენს, ისედაც ყოველ მხრივ დაქვეითებულს ცხოვრებას არ მოუმატებენ ყოველგვარ ზნედაცემულებასა და ბიწიერებას, არამედ აწინდელის ცხოვრების მწიკლვსაც ცოტად თუ ბევრად, თავიდგან მოგვაშორებენ.

ნადიკვრელი.

მოხტა, აეყუდა სარკესთან და უთხრა:

— ნელა, ბატონო, ეს ძვირფასი მინა არ გატეხოთ. ამ თქმაზედ მხატვარმა გალანძღა ებრაელი. ბოთლი დასდგა და ისევ დაჯდა.

— აი, ჩემო პატიოსანო ბატონო, ეხლა თქვენ თითონ დაამტკიცეთ, რომ ფული აღემატება ყველაფერს ქვეყანაზედ. მე, თქვენ რომ მდგარიყავით სარკესთან, ბოთლს გესროდით და სარკის ღირებულს ფასსაც გადავიხდი.

**

ამერიკელები თუ მოიგონებენ რასმე, უეჭველად უცნაურსა და არა-ჩვეულებრივს. ტყუილიც-კი სწორედ ამერიკელი იციან. აი მაგალითად, ერთი ამერიკელი ამბობს: საუკეთესო წამალი კბილის ტკივილისთვის ის არის, რომ პირში ნალები ჩაიყენოთ და იმდენს ხანს აქნიოთ თავი, ვიდრე ეს ნალები კარაქად არ შეიდღვება, და კბილის ტკივილი მაშინვე გაგივლითო.

## გამოსადეგი ცნობა

მომკვდარებულის მობრუნება. ამ ბოლოს დროს ძალიან გავრცელებულია მკურნალ ლაბორდის გამოცდილი საშუალება, რომლითაც მომკვდარებულს, ცნობა-მიღებულს მოაბრუნებენ ხოლმე, რადგანაც ძალიან ადვილი საშუალებაა. მაგალითად წყლიდგან ამოყვანილის, რომელიც ჯერ არ დამხვალა, მაგრამ სუნთქვა შემდგარი აქვს, უნდა დაუჭიროთ ორის თითით (ცერითა და სალოკი თითით) ენა, მხოლოდ ენაზედ გადაფარებით სუფთა ხელსახოცი ან ნაჭერი და თუ არც ერთი არა გაქვთ დროზედ სახმარად, ცარიელი თითებითაც შეიძლება. ამოსწიეთ ენა 15 ან 20 ჯერ ერთი წუთის განმავლობაში. ყოველ ენის ამოწევის შემდეგ ენა უნდა გაუშვათ, მერე ისევ ამოსწიოთ. ამ დროს უნდა მოჰბაძოთ სუნთქვას, ესე იგი როგორც დამხვალი სუნთქავს, ისე დრო და ხან გამოშვებით სწიოთ ენაც, ამოწევის დროს უნდა თვალ-ყური ადევნოთ, რომ ენის ძირმა ამოიწიოს, რაც ძალიან ადვილია ამისთანა შემთხვევაში. თუ ენის ძირის დაძვრა ძნელი ხდება, იცოდეთ რომ მომკვდარებული, გულ-შემოყრილი გონებაზედ მოდის. ამისთანა შემთხვევაში კი, თუ გრძნობა მიხდილმა მობრუნება დაიწყო, ჯერ ორჯელ თითქოს ჰყლაპავს რასმეო ისე ამოძრავებს პირს, მერე მაგრად ამოისუნთქავს და დაასლოკინებს. თუ პირველში'ვე პირი შეკრული აქვს და კბილები მოჭერილი, პირი უნდა აუხსნათ როგორმე ან თითებით, ან არა და პროპკა ჩაუდოთ პირში, ან კიდევ დანის ტარი და სხ. გარდა ამისა, როცა ენას სწევდეთ, უნდა თითი ღრმად ჩატროდ პირში, რომ აღებინოს და კუჭი გაუთავისუფლდეს საჭმლისა და წყლისაგან. ეს საშუალება მით უფრო კარგია, რომ აცდენს იმ საშუალებას, რომელიც გავრცელებულია ხალხში, მაგრამ მავნებელი კია, მაგალითად დაბერტყა დამხრჩვალისა და სხვ..

# დეპეშა

9 მარტი

**პეტერბურგი.** «კერძო საეკონომიო საზოგადოების» საერთო კრებამ გადასწყვიტა გუშინ, რომ სახელმწიფო ქონებათა მინისტრის პირით, უქვეშევრდომილესი მადლობა მოვახსენოთ მის იმპერატორებითს უდიდებულესობას იმ გამუდმებულისა და დაუძინებელის ზრუნვისათვის რუსეთის ერის საკეთილდღეოდ, რომელიც განსაკუთრებულის ძლიერებით გამოიხატა რუს-გერმანელთა სავაჭრო ხელ-შეკრულობის დადებით; ეს გარდაწყვეტილება კრებამ ფეხზედ მდგომმა განაჩინა და სიხარულით იყო აღვსებულ-აღფრთოვანებული. შემდეგ კრებამ გადასწყვიტა, ავირჩიოთ საზოგადოების საპატიო წევრებად ფინანსთა მინისტრი და გრაფი შუვალოვიო.

**ლონდონი.** ქვედა-პალატაში გარკოტმა სთქვა, რომ ინგლისის ფლოტი მხოლოდ თავ-დაცვისა და მტრის მოსაგერებელი ძალაა და უდიდესი ელემენტია მშვიდობიანობის დასამყარებლადაო. ინგლისს არა აქვს აზრად იმ საქმეში გაერიოს, რომელიც იმას არ შეეხება. კეი საუტლკუორტმა ზღვათა უწყების ბიუჯეტის საჭიროების მიზეზად სთქვა: „დაე იცოდნენ სამზღვარ-გარედ ერთხელ და სამუდამოდ, რომ ჩვენ არას გზით არ ვიზამთ, ბრიტანიის ფლოტმა პირველობა დაჰკარგოსო.“ ის მუხლნი, რომელნიც შეეხებოდა მოხელეთა რაოდენობას და მათთვის საჭირო ჯამაგირების გაჩენას შეწყნარებულ იქმნა.

**პრაგა.** მარვიეს მოკვლის გამო პირდაპირს დამნაშავეს დოლეჟალსა და დანაშაულის ჩადენის შემკულიანებელს დრაგუნს კრიტს გარდაუწყვიტეს ათის წლით ციხეში დაპატიმრება.

**ვენა.** „Fremdenblatt“-ი იუწყება რომ იმ მოლაპარაკების საბოლოოსა და, როგორც სჩანს, საკეთილოთ დაბოლოვებას, რომელიც გამართულია პეტერბურგსა და ვენას შორის, უნდა მოველოდდეთ ამ დღეებში; მოლაპარაკების საქმე საუკეთესოდ დატრიალდაო.

10 მარტი

**პეტერბურგი.** სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ შეამუშავა წესი თურქისტანში და კასპიის ზღვის იქითა მხარეს მარილის ამოღებისა.

**ტურინი.** გუშინ საღამოს გარდაიცვალა კოშუტი.

**ბუდა-პეშტი.** კოშუტის გარდაცვალების გამო დღეს ყველა გაზეთი შავის არშიით გამოვიდა მგლოვიარობის ნიშნად. ქალაქის გამგეობა ბუდა-პეშტისა გადაიხდის ქალაქის ხარჯით დიდს პანაშვიდს. პარასკევს დილით შეიკრიბება დეპუტატთა პალატი კოშუტის სახელის პატივ-საცემად; პარლამენტისაგან გაგზავნილ იქმნება დეპუტაცია ქ. ტურინში. ჯერ არ იციან მოასვენებენ თუ არა გვამს მიცვალებულისას უნგრეთში. ზემოხსენებულს დეპუტატთა კრებაზედ პირველი მინისტრი ვეკერლე კოშუტის სახსოვრად პატივისცემას გამოაცხადებს მთავრობის მაგიერ.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

თქვენს პატივცემულს გაზეთში (9 მარტი, № 51) აღმოვიკითხე ბ-ნ ყარანგოზიშვილის მიერ გამოქვეყნებული ამბავი, ვითომ განსვენებულს ჩვენს არქეოლოგს დ. ბაქრაძეს «როგორღაც ხელში ჩაუვარდნოდეს» სათავად აზნაურო წიგნთ-საცავიდამ „დიდი კრებული სხვადა-სხვა საისტორიო მასალისა, პ. იოსელიანის მიერ დასასტამბად მომზადებული“, ხოლო დ. ბაქრაძის ხელიდამ უკანასკნელს ჟამს ,,ეშოვნოს ერთს ვისმეს (sic), რომელმაც ეს ხელნაწერი თურმე მიითვისა და ჰბეჭდავს, როგორც თავისს შრომის ნაწარმოებს''. სწორედ რომ გასაშტერებელია და სულის შემხუთავი ეს უზარ-მაზარი ცილის-წამება, მით უმეტეს რომ, როგორც თავის დროზედ შეურყეველ საბუთებით დავამტკიცებთ, დ. ბაქრაძეს და მისს ოჯახობასაც ის კრებული თავისს საკუთრებად მიაჩნდა და არა ნატაცებ-ნაქურდავად და როგორც დაჭეშმარიტებით ვიცით, არავის განუზრახავს იმ შრომის თავისის სახელით დაბეჭდვა.

ვინ არის ის ,,ერთი ვინმე'', რომელიც ვითომ იმ სხვის შრომას თავის სახელით ჰბეჭდავს, ამის გამოცხადებას და დასაბუთებას, იმედი გვაქვს, ბ-ნი ყარანგოზიშვილი არ დაიყოვნებს და მაშინ ღირსეულ პასუხს მიიღებს. ხოლო რაკი ბ-ნი ყარანგოზიშვილი ესე თამამად შეჰხებია პატიოსნებას ისეთის ღირსეულის, ქვეყნისთვის თავ-დადებულის უანგარო მუშაკისას, როგორიც იყო განსვენებული არქეოლოგი დ. ბაქრაძე, რომლისადმი მეცა, როგორც ყოველს ქართველს, პატივისცემა მაქვს, ამის გამო უმორჩილესად ვთხოვ ,,ივერიის'' რედაქციას ადგილი დამითმოს თავისს პატივცემულს გაზეთში და მით შემძლება მომცეს მოხსენებული ბრალი ავხადო განსვენებულს დ. ბაქრაძეს იმ საზოგადოების წინაშე, რომელსაც ესრე თამამად და ხელ-აღებით გამოეცხადა ესრეთი მისი დანაშაულობა.

ჩემს უმორჩილესს თხოვნას ,,ივერიის'' რედაქცია, იმედი მაქვს, მით უმეტეს შეიწყნარებს, რომ ამ ბოლოს ხანებში, როგორც ცნობილია, ბულვარ-ბაღებში და კუნჭულებში გაჩნდა ბრბო მეჭორიკნეთა, რომელნიც სცდილობენ ყოველს კეთილს საქმეს ძირი მოუთხარონ, ყოველს პატიოსანს მშრომელს ჩირქი წასცხონ, ყოველს მოღვაწეს სული შეუხუთონ, სისხლი აუმღვრიონ და გაუშრონ, დასთრგუნონ და გააქქელონ საზოგადოების თვალში, უდროოდ გამოასალმონ ამ წუთი-სოფელს და სხვის სამარეზედ აღმართონ სისხლ მოსვრილი ტახტი თავისის თავ მოყვარეობისა. ეს დაბნეულნი პატრონები ხშირად ამასაც არ ჰკმარობენ და თვით საფლავშიც არ ასვენებენ მათის უსიტყვო მსხვერპლის წმინდა ნაშთს.

ამ მეჭორიკნეთა აღმოსაჩენად ყველას და განსაკუთრებით ბ-ნს ყარანგოზიშვილს უმორჩილესად ვთხოვ, თუ შესაძლოდ დაინახა, დაგვისახელოს ის საბუთები, რომელთაც დაარწმუნეს იგი, ვითომ მოხსენებული საისტორიო კრებული, რომელიც ბაქრაძეს ეკუთვნოდა, განსვენებულს არქეოლოგს არა-კანონიერ გზით მიესაკუთრებინოს, ხოლო ,,ერთ ვისმე'' დაებეჭდოს (ანუ ჰბეჭდავდეს) თავის სახელით.

გარდა ამისა, ამ საქმის უმეტესად და უცხადესად საზოგადოების წინ გამოსაბრწყინებლად დიდად საჭიროა ბ-ნის ყარანგოზიშვილის პასუხი შემდეგს კითხვებზე, რომლებსაც იგი, იმედი მაქვს, თუ შესაძლოა, გამოაქვეყნებს უახლოესს დროს გაზეთის საშუალებით.

1) რომელს წელს და თვეს და რომელ სიით გადაეცა სათავად-აზნაურო სკოლას ზემოხსენებული შრომა პ. იოსელიანისა; 2) ყველა პ. იოსელიანის შრომა დაეთმო სკოლას, თუ რამდენიმე მისი ნაწილი; 3) ყდიანი იყო თუ უყდო იგი შრომა და დაახლოვებით რამსიდიდე იყო ის ხელნაწერი; რომელი საკითხავები (ანუ სტატიები) იყო იმ წიგნში შეტანილი ან რაგვარი მასალა იყო შიგ შეკრებილი და ვისის ხელით დაწერილი.

4) ვისგან, როდის და რომელს წიგნში აბეჭდება ეს შრომა სხვისის სახელით და სახელდობრ ვისის სახელით.

გარდა ამისა სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორს ბ-ნს ჭიჭინაძეს ვთხოვ გამოიძიოს და გამოიკითხოს ვისგანაც ჯერ არს, თუ როდის რომელის სიით მიუღიათ პ. იოსელიანის შეწირულობა და იმ სიაში როგორ არის აღნუსხული სადაო საისტორიო კრებული სიტყვა-სიტყვით; ვისის ხელით და როდის შეუტანიათ კატალოგში მოხსენებული ხელნაწერი და სხვა შეწირულობანი; როდის, ვისგან და რა საბუთით გაუტანია დ. ბაქრაძეს ის ხელნაწერი.

ეს წვრილმანები დიდად საჭიროა რათა ყოველისფერი, ამ საქმის შესახები, გამომზეურდეს და წინდაუხედავს ცილს ლაგამი ამოედოს.

თ. ჟორდანია

### პეტერბურგის ბირჟა, 8 მარტი.

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | $7^1/_2$ | $7_{,53}$ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 150 | $150^3/_4$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | 243 | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | 221 | — ,, | — ,, |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | 192 | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | $100^3/_8$ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | — ,, | — ,, | $98^1/_4$ |
| ქუთაისის ბანკის 6%. | $100^3/_8$ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | $98^1/_4$ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $98^1/_4$ | .. | — ,, |


# განცხადებანი

თესლეულობით ვაჭრობა

ბ. ბ. ლარშესი

მიხეილის ორ-ხიდთა შუა, სახლი ფარსადანოვისა, მაღაზია № 47.

მ ი ჰ ი დ ე

ახალი თესლეულობა

ბოსტნეულისა, ყვავილეულისა და ბალახეულისა.

კატალოგი მსურველს უფასოდ გაეგზავნება. (15—8)

კბილის ექიმი

ა. ი. ორბელი

ოლღინსკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—171)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

ვ. ი. ფრანციუსი, 7—$7^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.




ИЗВѢСТНОЕ СВОИМЪ КАЧЕСТВОМЪ

ГЛИЦЕРИНОВОЕ МЫЛО

и

ВСЕВОЗМОЖНЫЕ БЛАГОВОННЫЕ

и

КОСМЕТИЧЕСКІЕ ТОВАРЫ

ФАБРИКИ

БРОКАРЪ и К°

можно получать во всѣхъ лучшихъ магазинахъ

РОССІЙСКОЙ ИМПЕРІИ.

,,სიჭაბუკის ცოდვა''

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ ვ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig(საქსონიას). უცო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.


Доз. ценз. Тифлисъ, 10-го Марта 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე